

**ქართულ მუსიკალურ-ესთეტიკურ აზროვნებაში  
თვისებრივი გარდატეხის ერთი მნიშვნელოვანი  
პერიოდის შესახებ**

ქართველთა მუსიკალურ-სააზროვნო სისტემა, რომლის ძირითადი მახასიათებელიც მრავალხმიანობაა, ისტორიული ჟამთაშვლის პროცესში თანდათანობით ვითარდებოდა, მაგრამ ტრადიციების ერთგვარი შემკავებელი ძალა ევოლუციური პროცესების დინებას მდორე, აუღელვებელ ხასიათს ანიჭებდა. მართალია, ფოლკლორულ შემოქმედებას არ ახასიათებს რევოლუციური გარდაქმნების სიმძაფრე, მაგრამ გარკვეული ხელშემწყობი პირობების წარმოქმნის შემთხვევებში, თვისებრივი ხასიათის ცვლილებები არც მისთვისაა უცხო. ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების სისტემურმა ანალიზმა და შედარებითი ფოლკლორისტიკის ხაზით ჩატარებულმა დაკვირვებებმა, შეჯერებულმა ისტორიულ, სოციალურ, რელიგიურ, ეთნოგრაფიულ, ზოგადკულტუროლოგიურ და სხვა ფაქტორებთან, დაგვარწმუნა, რომ მისი ისტორიული გზის ერთ-ერთ ეტაპზე, სწორედ ობიექტურად არსებული ხელშემწყობი პირობების წარმოქმნის გამო, მოხდა არქაული ინტონაციური სამყაროს, ინტონაციების პროცესუალური მექანიზმების, სასიმღერო შემოქმედების იდეურ-შინაარსობრივი მხარისა და ესთეტიკური იდეალების ერთგვარი გადააზრება, „გარდაკაზმვა“ (ორბელიანი, სულხან-საბა. 1966:144, 344), თვისებრივი გარდატეხა, რამაც უდიდესი როლი ითამაშა ქართული მუსიკალური აზროვნების შემდგომი განვითარების საქმეში. რადგან აღნიშნული ტენდენციების ჩასახვას ჩვენ წარმართობისა და ქრისტიანობის მიჯნაზე წარმოქმნილ მოვლენებს ვუკავშირებთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქრისტიანობამდელი მუსიკალური კულტურისა და ორი რელიგიის მიჯნაზე წარმოქმნილი მოვლენების მოკლე დახასიათება.

უტყუარი ისტორიული საბუთებისა და წერილობითი ცნობების უქონლობის გამო წარმართული ხანის მუსიკალურ-ენობრივი თავისებურებებისა და ესთეტიკური პრინციპების მკვლევარი დიდი სირთულეების წინაშე დგას. ასეთ ვითარებაში მკვლევარის მზერა, ცხადია, უშუალოდ მხატვრული შემოქმედებისაკენაა მიმართული. საბედნიეროდ, ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში შემორჩენილია ისეთი შრეები, რომელთა არქაულ წარმომავლობასაც ყველა ქართველი მეცნიერი აღიარებს. სწორედ ისინი გვიქმნიან გარკვეულ წარმოდგენას წარმართული ეპოქის მუსიკალურ კულტურაზე.

წარმართულ მუსიკალურ-მხატვრულ ქმნილებებში უდავოდ იკითხება ეპოქის საზრისი, ესთეტიკური იდეალები, მსოფლმხედველობითი, რელიგიური თუ კოსმოლოგიური წარმოდგენების შინაარსი. ყოველივეს შეცნობა მნიშვნელოვნად გაგვიადვილდება, თუკი მათ იმ ისტორიული გადასახედიდან შევხედავთ, როდესაც ისინი გარკვეულ სოციალურ დაკვეთას ასრულებდნენ.

საზოგადოდ ნებისმიერი მუსიკალური ქმნილების ჭეშმარიტ ღირსებებზე საუბარი რთულია, რადგან იგი „ცოცხლობს მხოლოდ სამუსიკო განცდა-

ში“, იმ გრძნობად ემოციურში, „რომლითაც მუსიკა შეიმეცნება“ (ანდლულაძე, 1997:18). თუკი მოვიშველიებთ წარმოსახვის უნარს და შევძლებთ იმ ისტორიულ გადასახედთან მიახლოებას, იმ გრძნობადი, განცდითი და აღქმადი სამყაროს წვდომას, რასაც, თავის დროზე, წარმართული სიმღერა-გალობა ქმნიდა, მაშინ იქნებ გაგვიადვილდეს მათი ესთეტიკური იდეალების შეცნობა, მათში მშვენიერის დანახვა. წარმართთა დიდი დედის, ნაყოფიერებისა და ავადმყოფობის მკურნალი ღვთაების — ნანასადმი მიძღვნილი საგალობლის („იავნანა“) მოსმენისას ხშირად გვაგონდება მიქელანჯელოს სიტყვები ქანდაკების შესახებ თქმული, რომ მთიდან დაგორებულს არაფერი არ უნდა მოსტყდესო. „დააგორეთ“ „იავნანა“ და დაინახავთ, რომ მას არაფერი მოსტყდება. და მართლაც, „იავნანას“, არსებითი მნიშვნელობის მქონეს, ვერც ვერაფერს დააკლებ და ვერც მოუმატებ. იგი შეკრული, დასრულებული და ლამაზი ქმნილებაა. თავისი სრულყოფით, ადამიანზე მაგიური ზემოქმედების დიდი ძალით, კეთილშობილური, პრაქტიკულად განხორციელებადი მიზნებითა და შედეგიანობით ეს საგალობელი „ამაღლებულის ესთეტიკურ იდეალს ბადებს“, ანუ „ამაღლებულის წარმართულ სახეს ქმნის“ (სირაძე, 1978:35). უდავოა, რომ წარმართული ეპოქის მხატვრულ-ესთეტიკური აზროვნების საფუძველს თვით მუსიკა, მისი ესთეტიკური აღქმა და განცდა წარმოადგენს.

ესთეტიკური აზროვნება მხატვრულ-შემოქმედებითი პროცესების თანმდევი. რწმენითი და მსოფლმხედველობითი წარმოდგენების მდგრადობა ან ცვალებადობა, ესთეტიკური იდეალების მდგრადობასა და ცვალებადობას განსაზღვრავდა. ქართული ხალხური სასიმღერო შემოქმედების მაგალითზე კარგად ჩანს, რომ მუსიკალური აზროვნების განვითარებისა და ესთეტიზაციის პროცესები ყველგან და ყოველთვის ერთგვაროვნად არ მიმდინარეობდა. ამისათვის საქართველოს მთისა და ბარის რეგიონების სასიმღერო შემოქმედების შედარებაც კმარა. აღარას ვამბობთ სხვადასხვა ქვეყნებსა და ხალხებზე. მაგალითად, ესთეტიზაციის პროცესების არაერთგვაროვანი დინება და ხასიათი ნათლად იკვეთება იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში გაერთიანებული, ჩრდილოეთ კავკასიაში განსახლებული ეთნიკური ტომებისა და ქართული ეთნოსის მუსიკალურ-მხატვრული ნიმუშების ურთიერთშედარებისას. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ როგორც ჩრდილოკავკასიურ, ისე საქართველოს მთის ზოგიერთ ეთნიკურ ერთეულებში მუსიკალურ-ესთეტიკური პროცესების განვითარება, რიგი მიზეზების გამო, შეფერხდა, ან ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ამიტომაც, მათ სასიმღერო ხელოვნებაში ჭარბადაა შემორჩენილი არქაული მუსიკალური აზროვნების კვალი, რომელიც დიდ მსგავსებას სწორედ იმ ქართულ სასიმღერო ნიმუშებთან ამჟღავნებს, რომელთა შორეული წარმომავლობაც არავითარ ეჭვს არ იწვევს.

ჩვენ არ გვაქვს წარმართული ეპოქის მუსიკალური ენის დეტალური აღწერის შესაძლებლობა. დავძენთ მხოლოდ, რომ ნათლად შეიმჩნევა სტერეოტიპული ინტონაციური სამყარო და ლექსიკური მარაგის სიმწირე. მართებულია მოსაზრება, რომ „რაც უფრო ძველი და კარგად შენახულია მუსიკალური კულტურა, მით უფრო ნაკლებია მასში ინტონაციური ფორმულების

რაოდენობა და მით მეტი უანრია ამ ფორმულებით მოცული“ (Çai öi ânêêé, 1972:179-180).

ჩვენი აზრით, რომ არა თვისებრივი გარდატეხის მოვლენები, რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, ქართული ხალხური მუსიკალური აზროვნება, ისტორიულ დინებას მიყოლილი, განვითარების დაახლოებით იმ დონეზე იქნებოდა, რა დონეზეც არა მარტო ქართველთა მეზობელი ეთნოსები, არამედ თვით ქართველ მთიელთა (თუშ-ფშავ-ხევსურთა) სასიმღერო ხელოვნება იმყოფება დღეს. ისე არ გვინდა გაგვიგონ, თითქოს ვაკნინებთ ჩვენი მეზობელი, რიგ შემთხვევაში მონათესავე ეთნოსების მუსიკალურ კულტურას, რომელიც თავისთავად მრავალი ღირსების მატარებელია, მაგრამ მსგავსი მოსაზრება არა ერთხელ გამოუთქვამთ მათივე სპეციალისტებს. გარდა ამისა, მუსიკალური მეცნიერების ობიექტური აზრიც ამასვე გვკარნახობს.

ახლა კი თვით მოვლენების შესახებ, რომლებმაც თვისებრივი გარდატეხა გამოიწვია ქართულ მუსიკალურ-მხატვრულ აზროვნებაში.

კაცობრიობის ისტორიისათვის რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ცვლა თანმდევი პროცესია. გამორიცხული არ არის, რომ ძველი და ახალი რელიგიური დინებების დაპირისპირებისას წყალი ამღვრეულიყო, მაგრამ უძველესი რელიგიების ისტორიისათვის უფრო დამახასიათებელი ჩანს ტრანსფორმაციული ხასიათის ცვლილებები, ძველის გარდასახვის მდორე ხასიათი, თუ, რასაკვირველია, ახალი რელიგია ძალით არ იყო თავს მოხვეული.

სრულიად განსხვავებულია წარმართობისა და ქრისტიანობის ურთიერთმიმართების ისტორია. ქრისტიანობა, ყველგან, სადაც კი ფესვების გადგმა დააპირა, წარმართობის სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. აკი ქრისტიანული რელიგიის ყველა წმინდანი წარმართებთან ბრძოლას შეწირული ადამიანია. თავის მხრივ, ქრისტიანობაც სასტიკად სდევნიდა წარმართებს, ანგრევდა მათ ტაძრებსა და ბომონებს, აიძულებდა ახალ სარწმუნოებაზე მოქცევას, ხშირად ცეცხლითა და მახვილით იმკვიდრებდა ადგილს. ასეთ პროცესებს არა მარტო საქართველოს, არამედ ყველა ქრისტიანული ქვეყნის ისტორია იცნობს.

მართალია, ქრისტიანობამ ვერ შეძლო ყოველივე წარმართულის სრულად აღმოფხვრა, რასაც ქართველ ისტორიკოსთა, ეთნოგრაფთა, ფოლკლორისტთა არაერთი საფუძვლიანი გამოკვლევა ადასტურებს, მაგრამ, როგორც უდავოდ პროგრესულმა მოვლენამ და სახელმწიფოს მფარველობაში მყოფმა რელიგიამ, ნიადაგი გამოაცალა წარმართული კულტებისა და დოგმებად ქცეული წესების ტრადიციულ მონოპოლიას. IV-V საუკუნეებში, როდესაც ქრისტიანობას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ფესვები მყარად გადგმული, ხოლო წარმართობა რღვევის პროცესში იმყოფებოდა და ნიადაგი ეცლებოდა, „სა-აზროვნო სივრცეში“ ერთგვარი ვაკუუმი გაჩნდა, რომელიც რელიგიის არტახებისაგან განთავისუფლებულმა ახლებურმა, საერო სულისკვეთებისაკენ მიდრეკილმა აზროვნებამ და ამავე ნიადაგიდან ამოზრდილმა ახალმა მსოფლმხედველობამ შეავსო. მსგავსი სურათი გვაქვს ამავე პერიოდის მუსიკალურ კულტურაშიც, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი ქართული სასულიერო საგალობელი (წირვა-ლოცვა ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა და

საეკლესიო მუსიკაც ებრაული ფსალმოდების მსგავსი ბერძნული გალობით იყო წარმოდგენილი), ხოლო წარმართული მუსიკა სასტიკ დევნას განიცდიდა და იკრძალებოდა, დოგმებისაგან განთავისუფლებულმა მუსიკალურმა აზროვნებამ საერო სულისკვეთების ახალ ნაკადს დაუდო საფუძველი, გააღვივა ადამიანის შემოქმედებითი ფანტაზია, სწრაფვა სილამაზისა და ესთეტიკური ტკბობისაკენ. ახლებურმა მუსიკალურმა აზროვნებამ და მსოფლმხედველობამ ძველი ესთეტიკური იდეალებისა და ერთგვაროვანი ინტონაციური სამყაროს გადააზრება, გარდაკაზმვა, ლექსიკური ფონდის გადახალისება-გამდიდრება, მისი ახალი სემანტიკითა და სიმბოლიკით დატვირთვა მოითხოვა. ყოველივე კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ მუსიკალურ აზროვნებაში თვისებრივი გარდატეხის მოვლენებს ეყრებოდა საფუძველი.

თავის დროზე კოლექტივიდან კორიფეს გამოყოფა უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი იყო, მაგრამ წარმართული მუსიკალური აზროვნების წიაღში ვერ მოხერხდა ინდივიდუალური სანყისის იმ ხარისხში აყვანა, რაც მას დამოუკიდებლობასა და საკუთარი გრძნობად-ემოციური სამყაროს სრულად გამოსახვის საშუალებას მისცემდა. ამ გარემოებაზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი მოვლენების კვალად, მუსიკალურ აზროვნებაში თვისებრივი გარდატეხის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად სწორედ ინდივიდუალური სანყისის გამოყოფა-დანინაურება მიგვაჩნია. ახლებურმა აზროვნებამ ადამიანებს გაუმძაფრა საკუთარი ინდივიდუალობის შეგრძნება და აღქმა, რამაც გრძნობადისა და განცდილის მხატვრული ასახვის სურვილიც დაბადა. ყოველივეს კი გამომსახველობის ახალი ხერხებისა და საშუალებების ძიება და ახალი ესთეტიკური პრინციპების ჩასახვაც მოჰყვა. ახალ საფეხურზე ავიდა მუსიკალურ-სახეობრივი აზროვნება. მუსიკალური სახისმეტყველება თანდათანობით უფრო ხატოვანი და რელიეფური გახდა.

ცხადია, ყოველივემ გარკვეული ზემოქმედება მოახდინა ინტონირების პროცესუალური მექანიზმების განვითარებასა და დახვეწაზე, აღქმის ეთნოფსიქოლოგიური თავისებურებების ჩამოყალიბებაზე. ამ პერიოდში იზრდება კილოს პოტენციურ შესაძლებლობათა ათვისება, მელოდიის დიაპაზონი და პლასტიკურობა. მუსიკალურ-ლექსიკური ფონდის გამდიდრება და ახლადწარმოქმნილმა ჟანრულმა სახეობებმა, რომლებიც ხშირ შემთხვევაში აღარ ეწერებიან უტილიტარიზმის მკაცრ მოთხოვნებში, დიდი ზეგავლენა მოახდინა სასიმღერო შემოქმედების იდეურ-მხატვრული შინაარსის გამრავალფეროვნებაზე, რამაც, თავის მხრივ, ახალი ფორმების წარმოქმნა განაპირობა. საფუძველი ეყრება უფრო მასშტაბურ, ნაწილიანობის შემცველ ფორმებს, რომლებიც მომდევნო ეტაპზე ურთიერთკონტრასტის პრინციპსაც ავლენენ. იმძლავრა ზრუნვამ კეთილხმოვანებაზე, როგორც მშვენიერის გამოხატულებაზე, რაც ქართველთა მუსიკალურ ცნობიერებაში მელოდიის გამშვენებასთან ერთად, სხვადასხვა ხმისა და მელოდიური შრეების ლამაზ, ჰარმონიულ შერწყმასაც გულისხმობდა. ინდივიდუალური სანყისის დანინაურებამ მნიშვნელოვანი ძვრები გამოიწვია მრავალხმიანობის სხვადასხვა ფაქტურული სახეების ჩამოყალიბებაში, დიდი ბიძგი მისცა პოლიფონიური აზროვნების განვითარებას, ხმათა კონტრაპუნქტულ ურთიერთდაპირისპირებას. ყოველივე

ზემოთ თქმული ქართული ხალხური მუსიკის ესთეტიზაციის პროცესებთან მჭიდრო კავშირში მოიაზრება და თვისებრივი გარდატეხის მახასიათებლებზე და ნიშანდობლივ მხარეებზე მიგვანიშნებს.

აღსანიშნავია, რომ თვისებრივი გარდატეხის მოვლენებმა უფრო მოგვიანებით (X საუკუნიდან) თავი იჩინა შუასაუკუნეების ლიტერატურულ-შემოქმედებით პრაქტიკაში, სადაც „საერო სულისკვეთება და თავისუფალი აზროვნება უკვე მძლავრ ნაკადად მოჩანს“ და „საერო მსოფლმხედველობა უკვე საეკლესიოზე უფრო ძლევამოსილია და საბოლოოდ გამარჯვებული“ (ჯავახიშვილი, 1938:229). ლიტერატურაში თვისებრივი გარდატეხის მოვლენები მეტაფორასტიკის სახელითაა ცნობილი. „მეტაფორასტიკა ახალ ესთეტიკურ პრინციპთა მაუწყებელია. მისი მთავარი მიზანდასახულება იყო ლიტერატურაში მხატვრულ-გამომსახველობითი დონის ამაღლება...მეტაფორასტიკა გამოხატავდა ტენდენციას აგიოგრაფიის აღმსარებლობითი უტილიტარიზმიდან ლიტერატურის მხატვრული თვითმყოფადობისაკენ“ (სირაძე, 1978:77). იგი წარმართულ სიბრძნეს იყენებდა მისი გარდასახვისა და გარდაკაზმვის გზით. თუნდაც მხოლოდ ამ ნიშნებით ლიტერატურული მეტაფორასტიკა გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ჩვენს მიერ აღწერილ თვისებრივი გარდატეხის მოვლენებთან. დიდია ცდუნება ამ მოვლენებისათვის ახალი ტერმინისა და ცნების – „მუსიკალური მეტაფორასტიკის“ მისადაგებისა, თუმცა კარგად ვგრძნობთ, რომ ასეთი მოსაზრების გასამყარებლად უფრო მეტი არგუმენტის მოხმობაა საჭირო. მოსაზრება მხოლოდ განსჯისათვისაა გამოთქმული.

ჩვენ ვსაუბრობდით მუსიკალურ აზროვნებაში თვისებრივი გარდატეხის ტენდენციებისა და ახალი ესთეტიკური პრინციპების მხოლოდ ჩანასახოვან ფორმებზე, რომლებსაც დიდი ისტორიული პერსპექტივა გაუჩნდა. ახალმა ტენდენციებმა თავისი განვითარების გზაზე პირველ კულმინაციას საქართველოს ისტორიის ოქროს ხანაში (XII საუკუნე) მიაღწია, ხოლო სრულყოფას გვიან შუასაუკუნეებში (XVII-XVIII საუკუნეები), რაც სრულფასოვნადაა განცხადებული ჩვენამდე მოღწეულ სასიმღერო შედეგებში.

მუსიკალური აზროვნების განვითარებას ბ. ასაფიევი განიხილავს, როგორც ადამიანის გონებრივი და ემოციური გადახალისების რთულ პროცესს, რომლის დროსაც ყოველი ახალი ეპოქა მუსიკალური ინტონაციის თვისებრივ ცვლილებას განაპირობებდა, რაც მას სიცოცხლის შეგრძნების არაჩვეულებრივ ძალას სძენდა (ასაფიევი, 1971). სწორედ თვისებრივად ახალი ინტონაციური სამყაროს ესთეტიკური აღქმა და განცდა იქცა ქართული ხალხური მუსიკალური აზროვნების ერთ-ერთ ყველაზე უფრო დამახასიათებელ ნიშან-თვისებად. ქართველთათვის სიმღერა ყოფიერებაა და სულთან თანაზიარი განუყოფლობაც, საკუთარი თავის გამოხატვის უპირველესი საშუალებაც და მშვენიერის ესთეტიკური განცდის პირველწყაროც. ქართველმა ხალხმა საკუთარი თავიც და სამყაროც ესთეტიკური იდეალების მეშვეობით შეიმეცნა, რისი უპირველესი გამოხატულებაც სიმღერა იყო.

### დამონმებული ლიტერატურა

ანდლულაძე, ნოდარ. (1997). *Homo Cantor* („ადამიანი მომღერალი“). თბილისი: დავით ანდლულაძის სახელობის ქართული ვოკალური კულტურის ფონდი.

ორბელიანი, სულხან-საბა. (1966). *ლექსიკონი ქართული*. ტ. I. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

სირაძე, რევაზ. (1978). *ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან*. თბილისი: ხელოვნება.

ჯავახიშვილი, ივანე. (1938). *ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები*. თბილისი: ფედერაცია.

Àñàð ùàà, Áí ðēñ. (1971). *Ì óçù èàèùí àÿ ó í ðì à, èàè ÿ ðí òàññ. Èçä. 2-à. Èáí èí ðòàà: Ì óçù èà.*

Çàì òí àñèèé, Èçàèèé (1972). *Í ñēñòàì ííì èññèààí ààí èè ò í èùèèí ðí ùõ ààí ðí à. Â éí .: Í ðèí à, Ã è äð.(ðàä. èí èè.). Í ðí áèàì ù ò óçù èàèùí í é í áóèè. ò.1. Ì ññèà: Ñí ààòñèé èí ò - òí çèò ð.*